# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 24. | კვირა 20 იანვარი 1902 წ. | გაზეთის № 1702.



ძალა და სიმართლე.—ქანდაკება ი. ბენკისა

## მგელი

(მოპასანიდან)

წმ. გუბერტის დღეობაში სადილ შემდეგ ბარონ დე-რაველისას, აი, რა გვიამბო მოხუცმა მარკიზ დ'არველმა.

ამ დღეს გავიგდეთ ირემი. ერთად-ერთმა მარკიზმა არ მიიღო მონაწილეობა ნადირობაში, რადგანაც იმას თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ უნადირნია.

გაჭიანურებულ სადილის დროს მარტო ნადირის გაჟლეტაზე-ღა ვლაპარაკობდით. ქალებიც კი ყურადღებით ისმენდნენ სისხლის ღვრაზედ განგებ შეთხზულ და სიმართლეს მოკლებულ ამბებს; ამ გარემოებით წახალისებული მონადირეები მღელვარებას და ხელების ქნევას უმატებდნენ და ცდილობდნენ ცხადად დაესურათებინათ ნადირთან ბრძოლა.

მარკიზ დ'არვილი კარგად ლაპარაკობდა, თუმცა ცოტათი ძალდატანება ეტყობოდა მის ლაპარაკს, მაგრამ მაინც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. უეჭველია იმას ეს ხშირად უამბნია, რომ ის თავისუფლად ლაპარაკობდა, და გარემოებათა დასასურათებლად შესაფერ სიტყვებს არ ეძებდა.

— მოწყალენო ხელმწიფენო! არც მე არც მამა-ჩემს, არც პაპა-ჩემს და არც პაპის მამას ჩვენ დღეში არ გვინადირნია. უკანასკნელი, ესე იგი პაპი-ჩემის მამა ისეთი მონადირის შვილი იყო, რომ ყველას თქვენ ერთად იმდენი არ გინადირნიათ, რაც იმას მარტოკას—ის 1764 წელს მოკვდა. და, აი, იმის სიკვდილზე მსურს ეხლა გიამბოთ.

იმას სახელად ჟანი ერქვა; მამა იყო იმ ბავშვისა, რომელსაც შემდეგში პაპა-ჩემი ეყოლა შვილად, და თავის უმცროს ძმა ფრანსუა დარვილთან სცხოვრობდა ლოტარინგიაში ჩვენ ციხეში, რომელსაც გარს ულრანი ტყე ერტყა. ფრანსუა დარვილი, ნადირობისთვის რომ არ ელალატნა, უცოლშვილოდ დარჩა.

ორივე ძმები თითქოს მარტო ნადირობისთვის დაბადებულიყვნენ. წლითი-წლობით შეუწყვეტლივ ნადირობდნენ, ნა-



გაღვიძება —სურათი ბანუელოსისა

დირობაზედ ლაპარაკობდნენ და მხოლოდ ნადირობა-ღა ახსოვდათ. ნადირობა ვნებად გარდაჰქცეოდათ და ამ ვნებას ყველაფერი ისე ამოებუგნა, რომ აღარა დარჩენოდათ-რა გულში. ერთხელ და ერთხელ გადაწყვეტით ჰქონდათ ნაზძანები, რომ, როცა იგინი ნადირობდნენ, არავითარ საქმისთვის არ უნდა შეეწუხებინათ. პაპი-ჩემის მამა სწორედ იმ დროს დაბადებულიყო, როდესაც იმის მამა მელას დასდევდა, ჟან დარვილმა ნადირობა არ შესწყვიტა, და ეს ამბავი რომ ახარეს, მარტო ესა სთქვა: „დასწყევლოს ღმერთმა, ნადირობის გათავებამდის ვერ მოიცადა დაბადებას!“ იმის ძმა ფრანსუას იმაზე მეტად უყვარდა ნადირობა. დილა ადრიანად ჯერ ძაღლების დასათვალიერებლად მიდიოდა, მერე ცხენებისა და რამდენიმე წამით წინ სანადიროდ წასვლამდის ციხის ახლო-მახლო ფრინველთ ესროდა.

ვგონებ, ძალიან დიდი ტანისა, ძარღვიანი, ხმელ ხმელი და ღონივრები იყვნენ. უმცროსი უფრო მაღალი იყო, ვიდრე უფროსი და ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, რომ, როგორც ხმა დადიოდა და რითაც იგი კიდევაც ამაყობდა, ტყეში ფოთლები აშრიალდებოდნენ ხოლმე, როდესაც იგი დაიყვირებდა. როდესაც ორივენი ცხენებზე შესხდებოდნენ სანადიროდ წასასვლელად, მშვენიერი სანახავები იყვნენ. 1764 წელს შუა ზამთარში საშინელი ყინვები დაიჭირა, და მგლები ხალხს ძალიან აწუხებდნენ.

ადამიანზედაც იწევდნენ. ხშირად დაგვიანებულ გლეხებს დაეცემოდნენ, ღამე სახლებს გარს ხეტიალობდნენ, ბოსლებს იკლებდნენ და მზის ჩასვლიდან ამოსვლამდის განუწყვეტლივ ყმუოდნენ.

მალე უცნაური ხმა გავრცელდა. ლაპარაკობდნენ, ვითომც უშველებელი დიდი, ყომრალი, თითქმის თეთრი ფერის მგელი უშიშრად ეზოებში შედის და სახლის კარებებს ჰსუნავს. იმისი სუნთქვა ვითომ ისეთი ძლიერი იყო, რომ სახლში სანთლის ალი ირხეოდა ამ სუნთქვაზე; ორი ბავშვიც შეჭამა და ერთ დედაკაცს მკლავი დაუკაწრაო. შიშის ზარმა შეიპყრო მთელი ის მიდამო. შებინდდებოდა თუ არა, გარედ ველარავინ გამოდიოდა. წყვდიადი ისე გაჟღენთილი იყო ამ ხმებით, რომ ყველგან მგლის ლანდი მოჩანდა.

ორივე ძმამ გადასწყვიტა იმ მგლის პოვნა და მოკვლა. ამ მიზნით გამართეს დიდი ნადირობა, რომელზედაც ყველა იქაური მემამულე მოიპატიჟეს, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. რამდენი იარეს ტყეში, თითქმის ერთი ჯაგიც არ დაჰრჩათ, რომ გარს არ შემოევლოთ და არ წაეჩუჩხუნებინათ, მაგრამ ის მგელი მაინც ვერ იპოვეს. მგლები ბევრი დახოცეს, მაგრამ ის კი ვერ მოჰკლეს. თითქოს ნიშნს უგებსო, ყოველთვის, როდესაც ესენი ღამ-ღამობით დაეძებდნენ ხოლმე, ის უეჭველად სულ სხვა ადგილას ძალიან შორს ან ვისმე მგზავრს დაეცემოდა, ან კიდევ საქონელს მოიტაცებდა. ბოლოს თითონ დარველების სალორეშიაც შეიპარა და ორი საუკეთესო ღორი გამოუფაშვა. ორივე ძმები ბრაზისგან გადირივნენ. ეს სრულებით პირადი შეურაცხყოფა და დაცინვა იყო. მოიფიქრეს, მოილაპარაკეს და გულმოსულები მგლის საძებნელად წავიდნენ. მზის ამოსვლისას წავიდნენ, და მოწითანო მნათობი რომ გაშიშვლებულ ხეებს მოეფარა, მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს ხეტიალი და მგლის ძებნა.

ორივეს დაღონებულებს და დაძმარებულებს ცხენები ნაბიჯით მოჰყავნდათ ხეივნის შუა და უკვირდათ, თუ ამათ გამოცდილებას მგელი როგორ გაუსხლტა ისე, რომ [illegible] კი ვერ დაჰკრეს. უეცრივ გამოურკვეველმა შიშ[illegible] იგინი და უფროსმა ძმამ წარმოსთქვა:

— სწორედ უცნაური მგელია. ასე გგონია, [illegible]ვით მსჯელობს და ფიქრობსო.

უმცროსმა უპასუხა:

— იქნება საჭირო იყოს ვთხოვოთ ეპისკოპოზს, ჩვენს ბიძაშვილს, რომ ტყვია გვიკურთხოს, ან კიდევ რომელსამე მღვდელს ლოცვები წავაკითხვინოთ.

შემდეგ ორივე გაჩუმდა.

ჟანმა რამდენისამე წუთის შემდეგ დაიწყო:

— მზეს შეხედე, როგორ გაწითლებულა. დიდი მგელი ამაღამ უეჭველად უბედურებას შეამთხვევს ვისმე.

ჯერ სიტყვის თქმა არც კი დაეთავებინა, რომ იმისი ცხენი ყალხზე შედგა, ფრანსუას ცხენმა კიდევ წიხლების სროლა დაიწყო. ორივეს თვალ-წინ ხმელი ფოთლებით შემოსილ ჯაგიდან გამოხტა უშველებელი ყომრალი მგელი და ტყეში შევარდა.

ორივემ სიხარულით წამოიყვირა, გაეკვრნენ ცხენების კისრებს და ისე დააოთხეს, რომ გეგონებოდათ მძლავრი მხედრები ლაჯებით სწევენ ცხენებს და ისე მიარბენინებენო.

მიჰქროდნენ უგზო-უკვლოდ, არღვევდენ ბარდებს, ღრეებზე და ბექობებზე გადადიოდნენ და თან საყვირს უბერავდნენ, რომ მხლებლებისთვის და ძაღლებისთვის ეცნობებინათ.



წყაროსთან—ხევსურეთში. ესკიზი ნახშირით დახატული გოგიაშვილისა.

ამ თავგამომეტებით ქროლვაში ჩემმა წინაპარმა შუბლი შეახეთქა უშველებელ ხის ძირს, და თავი ორად გაეპო; უსულოდ ძირს გადმოვარდა, ცხენი კი ცოფიანსავით გასრიალდა და ტყის წყვდიადში ჩაინთქა.

უმცროსმა დარვილმა უცბად შეაყენა ცხენი, ძირს ჩამოხტა, ძმა ხელში აიტაცა და დაინახა, რომ თავიდან ტვინი და სისხლი ერთად გადმოსდიოდა.

იქავე ჩაიკეცა. გასისხლიანებული და დამახინჯებული ძმის თავი კალთაში ჩაიდო და უსიცოცხლო ძმის სახეს დასცქეროდა. ცოტ-ცოტაობით შიში იპყრობდა იმის არსებას; უცნაური, ჯერ სულ გამოუცდელი შიში შეეპარა ფრანსუას; ეშინოდა სიბნელისა, ეშინოდა მარტოობისა, მიყრუებულ ტყისა და ამ საზღაპრო მგლისა, რომელმაც აგერ იმისი ძმაც იმსხვერპლა.

არე-მარე თან-და-თან წყვდიადით იმოსებოდა, სასტიკი ყინვა ხეებსაც კი ალაწუნებდა. გულის წასვლამდის მისული ფრანსუა კანკალით წამოდგა, ჰგრძნობდა, რომ იმას აქ დარჩენა აღარ შეეძლო.

ხმაურობა სრულებით შესწყდა: აღარც ძაღლების ყეფა, აღარც საყვირის ხმა; ყველაფერს სული შეჰხუთოდა ამ თვალგაუწვდენელ სივრცეში; და ეს სამარისებური სიჩუმე ცივლამეში რაღაც შემაშინებელი და გამოურკვეველი იყო.

ორივე ხელით ასწია თავის ძმის უშველებელი გვამი, და უნაგირის წინ დაიდო შინ წასაღებად და ნელის ნაბიჯით გაემგზავრა სახლისკენ, მიდიოდა მთვრალსავით გონება-არეული, და თან საკვირველი და საშინელი ჩვენებები სდევნიდნენ.

იმის წინ, სულ მოულოდნელად წყვდიადით შემოსილ ბილიკზე თეთრად რაღაც გამოჩნდა. ეს ის მგელი იყო. შიშის ზარმა შეიპყრო მონადირე; რაღაც ცივი, თითქოს წყლის წვეთი ჩაუცურდა ზურგზე, უნებურად, თითქოს ბერმა ეშმაკის დანახვაზედაო, დიდად გადიწერა პირჯვარი, მაგრამ ამავე დროს ძმის გვამს დაჰხედა და ბრაზისგან მთლად აკანკალდა. ცხენს ქუსლები შემოჰკრა და პირ-და-პირ მგელზე მივიდა.

გზა აღარ გააჩნდა. მისდევდა და წყვდიადში თეთრად მიმფრინავ წერტილს თვალს აღარ აშორებდა. დანარჩენს ველარაფერს ვერ ჰხედავდა და ველარც ამჩნევდა.

თითქოს ცხენსაც მხედრის სული ჩაედგაო, კისერგაწვდილი გარბოდა და დედა-მიწას ფეხს აღარ აკარებდა. არც კლდე, არც ტყე, არც ღრე, არც ხე და ეკალი აღარ აფერხებდა. მხედარს თავ-პირი და სხეული სულ ჩამოეგაზ-ჩამოესერა; სისხლით რწყავდა იქაურობას.



ორი კაჭკაჭი.—სურათი ბერნ-ბელკურისა

უეცრივ მგელიც და მხედარიც ტყიდან პატარა ველად გაცვივდნენ, სწორედ იმ დროს, როდესაც მთვარემ მთის წვე-

რებიდან თავი ამოჰყო. ველი შემოზღუდული იყო უშველებელ კლდეებით და გასავალი გზა არსადა ჰქონდა, კლდეზე მიჯუჰკვილი მგელი ფრანსუასკენ მოტრიალდა. ფრანსუამ სიხარულით შეჰღრიალა, რაც არე-მარემ განიმეორა, როგორც ცის გრგვინვა, და სანადირო დანით ხელში ცხენიდან გადმოეშო.

ბუნძგლ-აშვებული და ზურგ-აწეული მგელი ელოდა იმას. როგორც წყვილი ვარსკვლავი, ისე ანათებდნენ იმის თვალები. მაგრამ ბრძოლამდის მონადირემ ძმა აიტაცა, კლდეზე დასო, ქვებით გაამაგრა იმისი თავი, რომელიც ეხლა მხოლოდ სისხლად-ღა ქცეულიყო, და, თითქოს ყრუს ელაპარაკებაო, ყურში ჩაჰყვირა:—დაინახე ჟან, დაინახე!

შემდეგ მგელს ეძგერა. ფრანსუა ჰგრძნობდა, რომ მთასაც კი დაანგრევდა, ქვებს ხელის მოჭერით დაჰფშვნეტდა.

მგელი მუცლისკენ მიეტანა უნდოდა გამოეფაშვა; მაგრამ ფრანსუამ დანა არც კი იხმარა, ორივე ხელი ყელში წაავლო და მძიმედ დახრჩობა დაუწყო, თან ყურს უგდებდა, სუნთქვა როგორ ეხუთებოდა მგელს და გულის-ცემა როგორ უდგებოდა. სიამოვნებით ხარხარებდა ფრანსუა, თან კი ხელებს უჭერდა მგელს და გიჟურის სიხარულით ყვიროდა:—დაინახე ჟან, დაინახე! მგლის მხრივ ყოველ გვარი წინააღმდეგობა შესწყდა; იმის ტანი მოილეშა და მოდუნდა, მოკვდა.

მაშინ ფრანსუამ აიღო მძორი და ძმის ფეხებთან დაახეთქა.

— აი, ნახე, ის არის, ჩემო პატარა ჟან, ისაა!—ხმის კანკალით რამდენჯერმე უთხრა ფრანსუამ.

შემდეგ ფრანსუამ ორივე მკვდარი ერთად უნაგირის წინ მოათავსა და გამოემგზავრა სახლისკენ.

რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა სასახლეში. ტირილითა და სიცილით, როგორც გარგანტუა*) პანტაგრიულას დაბადების დროს, ყვიროდა აღტაცებით და სიხარულით თრთოდა, როდესაც მგლის დაღრჩობაზე ლაპარაკობდა, ხოლო, როცა ძმის სიკვდილზე ლაპარაკობდა, კვნესოდა და სიმწარით წვერ-ულვაშს იგლეჯდა. და ხშირად, როდესაც კი შემდეგ ამ ამბავს მოიგონებდა, თვალ-ცრემლიანი იტყოდა ხოლმე:—იმ უპედურ ჟანს დანახვა რომ შესძლებოდა, თუ მგელს როგორ ვაღრჩობდი, დარწმუნებული ვარ, კმაყოფილებით მოკვდებოდა!

ჩემი წინაპრის ქვრივმა თავის დაობლებულ შვილს ნადირობა შეაძულა და ამ სიძულვილმა ჩემამდისაც მოაღწია...

მარკიზ დარვილი გაჩუმდა. ვიღამაც ჰკითხა:

— რასაკვირველია, ეგ ამბავი ლეგენდაა.

— გეფიცებით, რომ თავიდან ბოლომდის სინამდვილეა.—უპასუხა მარკიზმა.

მაშინ ერთმა მანდილოსანმა ტკბილის ხმით გამოაცხადა:

— სულ ერთია; მშვენიერება იქმნებოდა, მაგრე ძლიერი ვნებანი რომ ჰქონდეს ადამიანს...

**ორიშანი**

*) გარგანტუა,—სათაური და უმთავრესი გმირის სახელია რაბლეს შესანიშნავ თხზულებისა; გარგანტუა ზოგად სახელად გარდიქმნა და ვნებათა დაუკმაყოფილებელ ადამიანის დასახასიათებლად ხმარობენ.

**ნადიმი ზოგიერთი ლოთი ბიჭებისა, ეგრედ წოდებული ფელეტონისტებისა „მუხამბაზი ლათაიური“.**



ლოთებო, ნეტავი ჩვენა, ჭარიალალი,
დღეს მოგვეცა ლანძღვის ნება, თარიალალი!
დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ჭარიალიალი,
ლანძღვა სჯობს ყოველს მცნებასა, თარიალალი!

ჩვენისთანების ცხოვრება, ჭარიალალი.
ცოდნით არ მოიპოება, თარიალალი!
მაშ, მოდით ისევ სიბილწით ჭარიალალი,
ავავსოთ ჩვენი მწერლობა, თარიალალი!

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 февраля 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.